



დბბტ პირთა
უფლებრივი
მდგომარეობა
საქართველოში
საჯარო პოლიტიკის დოკუმენტი

LEGAL
SITUATION
of LGBT People
in Georgia
Policy Paper

ღობთ პირთა უფლებრივი
მდგომარეობა საქართველოში
(საჯარო პოლიტიკის დოკუმენტი)

„ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ფგუფი“

WISG

თბილისი, 2015

საჯარო პოლიტიკის დოკუმენტი - „ლგბტ პირთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში“ მომზადებულია „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ (WISG) მიერ, პროექტის – „ლგბტ ადამიანთა სამართლებრივი დახმარების“-ფარგლებში. პროექტის ფინანსური მხარდამჭერია NED (National Endowment for Democracy) / This public policy document - Legal situation of LGBT people in Georgia - was prepared by Women's Initiatives Supporting Group (WISG) within the frames of the project „Providing Legal Support to LGBT Persons in Georgia“. This project is financially supported by NED (National Endowment for Democracy).

ავტორი / Author: გიორგი გიცირიძე / Giorgi Gotsiridze

რედაქტორი / Editor: ეკატერინე ალდგომელაშვილი / Ekaterine Aghdgomelashvili

დიზაინი / Design: ე. წერეთელი / E. Tsereteli

დაკაბადონება / Layout: თ.ლორთქიფანიძე / T. Lortkipanidze

კორექტორი / Correction: მ. კალანდაძე / M. Kalandadze

მთარგმნელი / Translator: ე. გლურჯიძე / E. Glurjadze

დაბეჭდილია / Printed: შპს „სეზანი“ / Cezanne Ltd

© ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი, 2015

Women's Initiatives Supporting Group, 2015

www.women.ge

ISBN 978-9941-0-8086-9

პუბლიკაციის სრულად ან ნაწილობრივ გამოყენება ან გადაბეჭდვა WISG-ის წერილობითი თანხმობის გარეშე დაუშვებელია. გამონაკლისს წარმოადგენს მოკლე ციტატების გამოყენება სტატიებში წყაროს მითითებით / No part of this publication may be used or reproduced in any manner whatsoever without written permission from WISG except in the case of brief quotations embodied in critical articles and reviews.

სარჩევნო

შესავალი	5
ლგბტ პირთა უფლებების კონსტიტუციური დაცვა	6
საკონსტიტუციო სარჩელი ჰომოსექსუალთათვის სისხლის დონორობის აკრძალვის შესახებ	8
ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა და აღსრულების მექანიზმები	11
სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის იდენტიფიცირება, გამოძიება და აღრიცხვა	17
დასკვნები და რეკომენდაციები	28

შესავალი

ლგბტ ადამიანები ერთ–ერთი ყველაზე მონყვლადი ჯგუფია საქართველოში. 2014 წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა ჰომოფობიურ და ტრანსფობიურ დანაშაულებს, მიუხედავად არსებული სამართლებრივი დაცვის მექანიზმებისა, კვლავაც პრობლემას წარმოადგენს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების აღრიცხვა და დანაშაულის ჩამდენი პირების დასჯა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა ბოლო 3 წლის განმავლობაში უფრო მგრძობიარე გახდა ლგბტ ადამიანების უფლებების დაცვისადმი, არსებობს პრობლემები ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის აღსრულების კუთხით და კანონმდებლობა კვლავ დისკრიმინაციულია ლგბტ ჯგუფის მიმართ ჯანდაცვისა და სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის სფეროში (ეს განსაკუთრებით ტრანსგენდერ ადამიანებს ეხება).

წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტი მიზნად ისახავს საქართველოს კანონმდებლობისა და პრაქტიკის კვლევას ლგბტ პირთა უფლებების დაცვის კუთხით. კვლევაში ქვეყნის კანონმდებლობა და პრაქტიკა განხილულია სხვა ქვეყნის საუკეთესო გამოცდილებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების ქრილში. დოკუმენტში აქცენტი კეთდება თანასწორობის კონსტიტუციურ გარანტიებზე, ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობასა და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულზე. დასკვნით ნაწილში მოცემულია რეკომენდაციები შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისათვის.

დოკუმენტზე მუშაობისას გამოყენებული იქნა „ქალთა ინიციატივების მხარდაჭერი ჯგუფის“ მიერ 2012 და 2014 წლებში ჩატარებულ კვლევების შედეგები და საჯარო პოლიტიკის დოკუმენტები, სახალხო დამცველის ანგარიში, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები და საჯარო დაწესებულებიდან გამოთხოვილ ინფორმაცია.

ლგბტ პირთა უფლებების კონსტიტუციური დაცვა

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით გარანტირებულია კანონის წინაშე თანასწორობა. საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი ჩამოთვლის დისკრიმინაციის ამკრძალავ ნიშნებს, რომელშიც ვერ ვხვდებით სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობას. ამის მიუხედავად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ პროგრესულად განმარტა კონსტიტუციის მე-14 მუხლი და მასში ამოიკითხა დისკრიმინაციის აკრძალვა ადამიანის სექსუალური ორიენტაციისა და სექსუალური ქცევის საფუძველზე. ამგვარი მიდგომა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გამოიყენა 2014 წლის 4 თებერვლის #2/1/536 გადაწყვეტილებაში საქმეზე ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ.¹

ზემოხსენებულ გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა: „საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლში ჩამოყალიბებული დისკრიმინაციის ნიშნების ჩამონათვალი არ არის ამომწურავი. კონსტიტუციის აღნიშნული დებულების მიზანი გაცილებით უფრო მასშტაბურია, ვიდრე მასში არსებული შეზღუდული ჩამონათვლის მიხედვით დისკრიმინაციის აკრძალვა... მხოლოდ ვინრო გრამატიკული განმარტება გამოფიტავდა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლს და დააკნინებდა მის მნიშვნელობას კონსტიტუციურ სამართლებრივ სივრცეში.“²

ამის მიუხედავად, კონსტიტუციის მე-14 მუხლში სექსუალური ორიენტაციის მოუხსნიებლობას მაინც აქვს გარკვეული შედეგი. საკონსტიტუციო სასამართლო თვლის, რომ ის ნიშნები, რაც პირდაპირ არის მითითებული კონსტიტუციის მე-14 მუხლში, კლასიკურია. ამ ნიშნების კონსტიტუციაში ჩამოთვლა ხდებოდა იმის გამო, რომ მათ საფუძველზე დისკრიმინაციის ფართო ისტორიული გამოცდილება არსებობდა.³ თუკი ადამიანებს თუნდაც ძალიან მცირე

1 აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მსგავსი პროგრესული მიდგომა საკონსტიტუციო სასამართლომ ბევრად უფრო ადრე შეიმუშავა. 2008 წლის 31 მარტს საქმეზე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. აღნიშნულ საქმეში განსხვავებული მოპყრობა ხდებოდა სამუშაო ადგილის მიხედვით. საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ მიუხედავად იმისა, რომ სამუშაო ადგილი პირდაპირ არ იყო მოხსენიებული კონსტიტუციის მე-14 მუხლით, ეს ნიშანი გამომდინარეობდა აღნიშნული კონსტიტუციური დებულებიდან. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმეზე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ საქმეზე მიღებული 2008 წლის 31 მარტის #2/1-392 გადაწყვეტილების მეორე თავის მეორე პარაგრაფი.

2 საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმეზე ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ საქმეზე მიღებული 2014 წლის 4 თებერვლის #2/1/536 გადაწყვეტილების მეორე თავის მე-20 პარაგრაფი.

3 იქვე. მეორე თავის 26-ე პარაგრაფი.

რედი განსხვავებით ექცევიან კონსტიტუციის მე-14 მუხლში ჩამოთვლილი ნიშნების საფუძველზე (მაგალითად, რასის, კანის ფერის, სქესის, რელიგიის, საცხოვრებელი ადგილის და ა.შ.), სასამართლო ასეთ შემთხვევაში, გამოიყენებს მკაცრი შეფასების ტესტს და სახელმწიფოს მოსთხოვს, დაასაბუთოს აღნიშნული მოპყრობა მკაცრი შეფასების ტესტით.

საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ სექსუალური ორიენტაცია და სექსუალური ქცევა არ არის კონსტიტუციაში პირდაპირ მოხსენიებული კლასიკური ნიშანი. ამის მიუხედავად, სასამართლოს თქმით, სახელმწიფო არ სარგებლობს ფართო შესაძლებლობით, შეზღუდოს ლგბტ პირთა უფლებები. საკონსტიტუციო სასამართლოს თქმით: „დისკრიმინაციული მოპყრობის საფრთხე პირთა კონკრეტულ ჯგუფებთან მიმართებით იცვლება საზოგადოებრივი განვითარების კვალდაკვალ, რაც შეფასების მიღმა არ უნდა დარჩეს. აღნიშნული, უპირველეს ყოვლისა, მიემართება მონყვლად ჯგუფებს, მათ შორის, სექსუალურ უმცირესობებს, რაზეც მიუთითებს არაერთი საერთაშორისო აქტი თუ რეკომენდაცია ... ამგვარი სენსიტიური სფეროს მონესრიგებისას სამართალშემოქმედი ვალდებულია, გამოიჩინოს განსაკუთრებული ყურადღება, რათა თავიდან იქნას აცილებული პირთა უფლებების დარღვევის საფრთხე.“

საქმეში ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ სასამართლომ დაადგინა: მართალია, სექსუალური ორიენტაცია და სექსუალური ქცევა არ იყო კონსტიტუციის მე-14 მუხლით გათვალისწინებული, სახელმწიფომ მაინც გამოიყენა მკაცრი შეფასების ტესტი და მოპასუხე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს მოსთხოვა მწვავე სახელმწიფო ინტერესებით ჰომოსექსუალი და მსმ-ებისათვის (მამაკაცი, რომელსაც სექსი აქვს მამაკაცთან) სისხლის დონორობის აბსოლუტური და სამუდამო აკრძალვის დასაბუთება. ამის მიზეზი გახდა ის, რომ საკონსტიტუციო სასამართლო მკაცრი შეფასების ტესტს იყენებს მაშინ, როცა ერთსა და იმავე მდგომარეობაში მყოფ პირებს შორის განსხვავებული მოპყრობის ინტენსივობა არის მაღალი. მოცემულ საქმეში სწორედ ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი: ჰომოსექსუალებს სისხლის დონორობა აკრძალული ჰქონდათ სამუდამოდ, მაშინ როდესაც ყველა სხვა პირს სექსუალური ორიენტაციისა და სექსუალური ქცევის მიუხედავად, შეეძლო, ყოფილიყო სისხლის დონორი. ამგვარად, განსხვავებული მოპყრობის ინტენსივობა იყო ძალიან მაღალი, ვინაიდან ჰომოსექსუალები სრულად და სამუდამოდ იყვნენ გამორიცხული სისხლის დონორობასთან დავპირებული სამართლებრივი ურთიერთობიდან.⁴

4 იქვე. მეორე თავის 30-ე პარაგრაფი.

საკონსტიტუციო სარჩელი ჰომოსექსუალთათვის სისხლის დონორობის აკრძალვის შესახებ

„პაციენტთა უფლებების დაცვის შესახებ“ კანონი იყო პირველი საკანონმდებლო აქტი, სადაც ტერმინი „სექსუალური ორიენტაცია“, დისკრიმინაციის აკრძალვის კონტექსტში, პირველად იქნა გამოყენებული 2000 წელს. ეს ნორმა დღესაც ძალაშია. ამის მიუხედავად, ჯანდაცვის სფეროში ლგბტ პირთა დისკრიმინაცია კვლავაც აქტუალურია. ეს, პირველ რიგში, ეხება მსმ ჯგუფისათვის სისხლის დონორობის აკრძალვას.

2012 წლის 11 ივლისს საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური სარჩელით მიმართა ხუთმა მამაკაცმა, რომელიც თავს გეი თემს მიაკუთვნებდა. მოსარჩელები ასაჩივრებდნენ მინისტრის იმ ბრძანებას, რომლითაც ჰომოსექსუალობა სისხლის დონორობის აბსოლუტური აკრძალვის წინაპირობა იყო. 2013 წლის 1 მარტს საკონსტიტუციო სასამართლომ სარჩელი მიიღო არსებითად განსახილველად. 2013 წლის 8 ოქტომბერს, მანამ, სანამ საკონსტიტუციო სასამართლო საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებდა სარჩელთან დაკავშირებით, ცვლილება შევიდა მინისტრის სადავო ბრძანებაში. სიტყვა „ჰომოსექსუალიზმი“ შეიცვალა ტერმინით „მსმ“ (მამაკაცი, რომელსაც სექსი აქვს მამაკაცთან). ამ ცვლილებით დონორობის აკრძალვა აღარ ეხება მამაკაცს, რომელსაც სექსუალური და ემოციური ლტოლვა აქვს ამავე სქესის წარმომადგენლის მიმართ, მაგრამ არა აქვს სექსუალური კავშირი სხვა მამაკაცთან.

საკონსტიტუციო სასამართლომ, იმის მიუხედავად, რომ ძალადაკარგულად იყო ცნობილი სადავო ნორმატიული აქტი, მაინც გააგრძელა საქმის განხილვა. ვინაიდან გასაჩივრებული ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობას სასამართლო აფასებდა მკაცრი ტესტით, პირველ რიგში, უნდა შეემოწმებინა, რამდენად არსებობდა მწვავე სახელმწიფოებრივი ინტერესი განსხვავებული მოპყრობისათვის. მოპასუხე მხარემ ასეთ ლეგიტიმურ მიზნად მიუთითა პაციენტთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა. მსმ დონორის სისხლი შესაძლოა, დაინფიცირებული ყოფილიყო და მის გამოყენებას გამოეწვია რეციპიენტის ჯანმრთელობის დაზიანება.⁵ საკონსტიტუციო სასამართლომ პაციენტის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა მიიჩნია ლეგიტიმურ მიზნად, თუმცა ამ უკანასკნელის არსებობა, საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, არ არის საკმარისი განსხვავებული მოპყრობის გასამართლებლად. აუცილებელია განსხვავებული მოპყრობა იყოს გამოსადეგი

5 საქმეზე ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ 2014 წლის 4 თებერვლის #2/1/536 გადაწყვეტილების მეორე თავის 34-ე პარაგრაფი.

საშუალება პაციენტთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დასაცავად, ასევე შერჩეული საშუალება იყოს ნაკლებად შემზღუდველი.⁶

საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ მსმ პირის სისხლის დონაციის შემთხვევაში დაინფიცირების საფრთხე არსებობს ე.წ. „ფანჯრის პერიოდში.“ „ფანჯრის პერიოდი არის დრო, რომლის განმავლობაშიც ვირუსი არ არის იდენტიფიცირებადი – გრძელდება 8-10 კვირას, მაქსიმალური სიზუსტისთვის საჭიროა 12 თვემდე პერიოდი, რის შემდგომაც სისხლში არსებული ინფექციის აღმოჩენა შესაძლებელია.“⁷

საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ნორმა ზომაზე მეტად ზღუდავდა თანასწორობის უფლებას. საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის მე-14 მუხლის სანინაალმდეგოდ მიიჩნია ის, რომ, ერთი მხრივ, სადავო ნორმა დონორად ყოფნას უკრძალავდა ადამიანს, რომელიც დაკავებული არ იყო სარისკო სექსუალური ქცევით და მხოლოდ ემოციური და ფსიქოლოგიური ლტოლვა ჰქონდა საკუთარი სქესის წარმომადგენელთან, ხოლო მეორე მხრივ, მსმ პირს, მას შემდეგ, რაც ფანჯრის პერიოდი იქნება ამონურული და, ამის მიუხედავად, მსმ პირს ვირუსული დაავადება არ დაუდგინდება.

როგორც თავად საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა: „განსახილველ შემთხვევაში სადავო ნორმებით გათვალისწინებული შეზღუდვა, არსებითად თანასწორო პირებს შორის, ადგენს გაუმართლებლად მკაცრ უთანასწორო მოპყრობას და უფლებას ზღუდავს იმაზე მეტი ინტენსივობით, ვიდრე ეს აუცილებელია ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. კერძოდ, ერთი მხრივ, სარისკო სექსუალური ქცევის მქონე ჰომოსექსუალ მამაკაცებთან მიმართებით დადგენილია აბსოლუტური აკრძალვა „ფანჯრის პერიოდის“ მიღმაც, ხოლო, მეორე მხრივ, გამოყენებული ტერმინის ფართო შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება აკრძალვა შეეხოს ისეთ პირებს, რომლებიც არ იყვნენ დაკავებული სარისკო სექსუალური ქცევით. შესაბამისად, სადავო ნორმები ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით გარანტირებულ თანასწორობის ძირითად უფლებას.“

6 საქმეზე ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ 2014 წლის 4 თებერვლის #2/1/536 გადაწყვეტილების მეორე თავის 36-ე პარაგრაფი.

7 საქმეზე ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ 2014 წლის 4 თებერვლის #2/1/536 გადაწყვეტილების მეორე თავის მე-40 პარაგრაფი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე დაადგინა კონსტიტუციის მე-16 მუხლის დარღვევა (პიროვნული განვითარების უფლება). ამ უკანასკნელი უფლების დარღვევის აღიარებისას საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა: „სადავო ნორმების საფუძველზე, სისხლისა და მისი კომპონენტების დონაცია ასევე ბლანკეტურად, განუსაზღვრელი ვადით ეზღუდებათ სარისკო სექსუალური ქცევის მქონე ჰომოსექსუალ მამაკაცებს. სასამართლომ დაადგინა, რომ აივ-ვირუსის იდენტიფიცირება „ფანჯრის პერიოდის“ შემდეგ სისხლის ლაბორატორიული გამოკვლევებით შესაძლებელია. შესაბამისად, სარისკო სექსობრივი ქცევის მქონე ჰომოსექსუალი მამაკაცების დისტანცირება დონაციის პროცესისგან განუსაზღვრელი ვადით, ასევე არ პასუხობს პროპორციულობის მოთხოვნებს.“⁸

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, მართალია, პირდაპირ თქვა ის, რომ მსმ პირებისათვის სისხლის დონორობის აკრძალვა „ფანჯრის პერიოდის“ შემდეგ არაკონსტიტუციურია, ამის მიუხედავად, მოსარჩელეთა მიერ გასაჩივრებული იყო სიტყვა „ჰომოსექსუალიზმი.“ შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად სწორედ ეს სიტყვა ცნო. სასამართლო მინისტრის ბრძანების 24-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის სიტყვებს „მამაკაცის სექსობრივი კავშირი მამაკაცთან“ ტექნიკურად ვერ ცნობდა არაკონსტიტუციურად, ვინაიდან სარჩელის შეტანის მომენტში ეს ჩანაწერი არ არსებობდა. ზემოხსენებული სიტყვები გაჩნდა სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების შემდეგ. საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა სასარჩელო მოთხოვნის გაზრდის შესაძლებლობას, როდესაც სადავო ნორმა იცვლება და შეცვლილი შინაარსიც არაკონსტიტუციურია. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ ცალსახად განაცხადა ის, რომ მსმ-ისათვის ფანჯრის პერიოდის გასვლის შემდეგ სისხლის დონორობის აკრძალვა არაკონსტიტუციურია, მსმ პირებისათვის დადგენილი სისხლის დონორობის უვალო და განურჩეველი აკრძალვა კვლავაც ძალაშია. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი არ ემორჩილება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას.

ამ სიტუაციიდან რჩება ერთადერთი გამოსავალი: ჰომოსექსუალმა მამაკაცებმა კვლავ მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს. ეს უკანასკნელი მინისტრის ბრძანებაში ჩანერილ სიტყვებს: „მამაკაცის სექსობრივი კავშირი მამაკაცთან“ გამარტივებული წესით, არსებითი განხილვის გარეშე არაკონსტიტუციურად ცნობს.

8 საქმეზე ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩიაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ 2014 წლის 4 თებერვლის #21/1536 გადაწყვეტილების მეორე თავის 74-ე პარაგრაფი.

ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა და აღსრულების მექანიზმები

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის, საკონსტიტუციო სასამართლოს პროგრესული პრაქტიკის მიუხედავად, ადმინისტრაციულ და კერძოსამართლებრივ სფეროში 2014 წლის 2 მაისამდე, არ არსებობდა ერთიანი და სისტემური ანტიდისკრიმინაციული რეგულაციები, ასევე აღნიშნული რეგულაციების სათანადო აღსრულების მექანიზმები. არსებობდა მხოლოდ ფრაგმენტული ხასიათის ჩანაწერები დარგობრივ კანონმდებლობაში, მათ შორის აღსანიშნავია შრომის კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილი, სადაც მითითებულია: „შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი და ნოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ან სხვა გაერთიანებისადმი, მათ შორის, პროფესიული კავშირისადმი, კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო.“ დისკრიმინაციის ფაქტი სასამართლოში უნდა ემტკიცებინა თავად ამგვარი მოპყრობის მსხვერპლს, რაც პრაქტიკულად შეუძლებელი იყო.

2014 წლის 2 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონი. შრომის სფეროს გარდა, აღნიშნულმა კანონმა მოიცვა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო, სადაც კი საჯარო დაწესებულებების, კერძო ფიზიკური და იურიდიული პირების მხრიდან მოსალოდნელი იყო დისკრიმინაცია. ზემოხსენებული კანონი კრძალავს დისკრიმინაციას სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის საფუძველზეც. სახალხო დამცველს მიენიჭა დისკრიმინაციის აღმოფხვრის და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობის უფლებამოსილება. ეს კანონი სახალხო დამცველს ანიჭებს უფლებამოსილებას, შეაგროვოს დისკრიმინაციის დამადასტურებელი მტკიცებულებები. სახალხო დამცველს შეუძლია შეამოწმოს, რამდენად არის დაცული თანასწორობის უფლება კერძო ფიზიკური და იურიდიული პირის მიერ. ეს უფლებამოსილება სახალხო დამცველს არ გააჩნდა ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებამდე.

გარდა სახალხო დამცველისა, დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის ფუნქცია მიენიჭა სასამართლოს. ამ უკანასკნელს ევალება დისკრიმინაციის აღმოფხვრა, დისკრიმინაციის მსხვერპლისათვის მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება. დისკრიმინაციული მოპყრობის მსხვერპლმა უნდა წა-

რადგინოს ფაქტები და მტკიცებულებები, რაც დისკრიმინაციული მოპყრობის ვარაუდის საფუძველს იძლევა, რის შემდეგაც მოპასუხეს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა.

აღნიშნულ პოზიტიურ ასპექტებთან ერთად, 2014 წლის 2 მაისს მიღებულ ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობას ახასიათებს სერიოზული ხარვეზებიც. სახალხო დამცველი დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის შემთხვევაში დისკრიმინაციის განმარტოვებულ პირს უგზავნის რეკომენდაციას და ამით ასრულებს საქმისწარმოებას. სახალხო დამცველის რეკომენდაციის შესრულება არ არის სავალდებულო დისკრიმინაციული ქმედების განმარტოვებელი პირისათვის. სახალხო დამცველს არ გააჩნია დისკრიმინაციული ქმედების ჩამდენი პირის მიმართ რაიმე ტიპის სანქციის გამოყენების უფლებამოსილება, როდესაც დისკრიმინაციის აღმოფხვრის თაობაზე რეკომენდაცია არ სრულდება.

დისკრიმინაციის ფაქტის შესწავლისას კერძო პირი არ არის ვალდებული, სახალხო დამცველს მიაწოდოს მტკიცებულება, რაც დისკრიმინაციის თაობაზე საჩივარში მოყვანილ გარემოებას ადასტურებს ან უარყოფს. ეს მაშინ, როდესაც, საჯარო დაწესებულება ვალდებულია 10 დღის ვადაში წარუდგინოს სახალხო დამცველს მოთხოვნილი ინფორმაცია. დადგენილ ვადაში სახალხო დამცველის მოთხოვნის შეუსრულებლობა გამოიწვევს საჯარო დაწესებულების დაჯარიმებას.

შეუძლებელია, დისკრიმინაციის ერთი და იგივე შემთხვევა განიხილოს როგორც სახალხო დამცველმა, ასევე – სასამართლომ. თუკი საქმე განიხილება სასამართლოში, სახალხო დამცველი ვალდებულია, შეაჩეროს საქმის განხილვა. სასამართლოსათვის მისამართავად დისკრიმინაციის მსხვერპლს აქვს სამთვიანი ვადა დისკრიმინაციული ქმედების ჩადენიდან ან იმ დროიდან, როდესაც ამის შესახებ ცნობილი გახდა მსხვერპლისათვის. ამგვარად, სახალხო დამცველს არა აქვს შესაძლებლობა, რომ შეაგროვოს დისკრიმინაციის ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რასაც მოგვიანებით დისკრიმინაციის მსხვერპლი წარუდგენდა სასამართლოს, ამ გზით მოხდებოდა დისკრიმინაციული ქმედების აღმოფხვრა და ზიანის ანაზღაურება.

მართალია, კანონში მითითებულია იმის თაობაზე, რომ დისკრიმინაციის ჩამდენ პირს შესაძლოა, დაეკისროს მორალური ზიანის ანაზღაურება დისკრიმინაციის მსხვერპლისათვის, თუმცა კანონი არაფერს ამბობს იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს მორალური ზიანის ოდენობის გამოანგარიშება. იმ პირობებში, როდესაც დისკრიმინაციული ქმედების ჩადენისათვის არ არის დაწესებული ჯარიმა, მორალური ზიანი უნდა იყოს იმ ოდენობის, რომ არა მხოლოდ პოზიტიური განწყობით ჩაანაცვლოს დისკრიმინაციის შედეგად

პირისათვის მიყენებული სულიერი ტკივილი, არამედ, იმავდროულად, დისკრიმინაციის ჩამდენ პირს გაუქროს იმავე ქმედების განმეორებით ჩადენის სტიმული. სამწუხაროდ, დისკრიმინაციის შემთხვევაში მორალური ზიანის ანაზღაურების ბუნდოვანების საკითხი არ იძლევა აღნიშნული მიზნის მიღწევის შესაძლებლობას.

2014 წლის ნოემბერში სახალხო დამცველის აპარატში შეიქმნა თანასწორობის დეპარტამენტი, რომლის მიზანიც არის, დაეხმაროს სახალხო დამცველს ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობით დაკისრებული ფუნქციის განხორციელებაში. კანონის მიღებიდან აღნიშნული დოკუმენტის მომზადების პერიოდამდე სახალხო დამცველმა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის საფუძველზე მოამზადა ორი ზოგადი წინადადება და ერთი სასამართლოს მეგობრის წერილობითი მოსაზრება.

ანტიდისკრიმინაციული კანონის ამოქმედებიდან 10 თვის თავზე, განვლილი სამუშაოს შეჯამების საფუძველზე, სახალხო დამცველის ოფისმა შეიმუშავა რიგი საკანონმდებლო ინიციატივები არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად და კანონის აღსრულების ფექტიანობის გასაუმჯობესებლად.⁹ სახალხო დამცველის ინიციატივა რამდენიმე ძირითად საკითხს მოიცავს. ერთი გულისხმობს საკანონმდებლო ცვლილებას, რომელიც სახალხო დამცველს უფლებას მისცემს არ შეწყვიტოს დისკრიმინაციის შესახებ საქმის შესწავლა იმ შემთხვევაშიც, თუ იგივე საქმე განიხილება სასამართლოში. მეორე საკითხი კერძო სტრუქტურებში კანონის აღსრულების კონტროლის მექანიზმის დახვეწას ეხება, ხოლო მესამე – სახალხო დამცველის, როგორც სასამართლოს მეგობრის მონაწილეობას დისკრიმინაციის საკითხების განხილვისას.

ა) სასამართლოში გასაჩივრების ვადები. დღეს მოქმედი წესით, სასამართლოში მიმართვის ვადა შრომით დავებზე ერთი, დისკრიმინაციულზე კი 3 თვით განისაზღვრება. ამასთან, კანონის თანახმად, მას შემდეგ, რაც მომჩივანი სასამართლოს მიმართავს, სახალხო დამცველი იძულებულია, საქმის წარმოება შეაჩეროს. სახალხო დამცველი მოითხოვს, კანონში შევიდეს შესაბამისი ცვლილება, რომლის მიხედვითაც, სახალხო დამცველისადმი მიმართვის შემთხვევაში უნდა შეჩერდეს ვადის დენა ანუ ეს იქნება ერთთვიანი ვადის შეჩერება შრომით დავებსა და სამთვიანი ვადის შეჩერება ყველა დისკრიმინაციულ დავაზე. ასევე, სახალხო დამცველი უფლებების აღდგენისა და მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურებისთვის სასამართლოში მიმართვის ვადის 3 თვიდან 1 წლამდე გაზრდას ითხოვს.

9 <http://www.ombudsman.ge/uploads/other/2/2327.pdf>

ბ) კანონის აღსრულების კონტროლის მექანიზმის დახვეწა კერძო სტრუქტურებში

დისკრიმინაციის ყველა ფორმის აკრძალვის შესახებ კანონი ყველა დაწესებულებას ავალდებულებს, თავისი საქმიანობა და შიდა რეგულაციები კანონთან შესაბამისობაში მოიყვანოს. თუმცა, დღეს დაწესებულებების კეთილ ნებაზეა დამოკიდებული, გასცემენ თუ არა ინფორმაციას სახალხო დამცველის მოთხოვნის საფუძველზე. სახალხო დამცველს კი ინფორმაციის გამოთხოვისას არ გააჩნია სანქციის გამოყენების ბერკეტი იმ კერძო კომპანიების მიმართ, რომლებიც არ ითანამშრომლებენ სახალხო დამცველთან. სახალხო დამცველი მოითხოვს, კანონში შევიდეს ცვლილება, რომ თუ კერძო პირები ან საჯარო დაწესებულებები უარს იტყვიან ინფორმაციის მონოდებაზე, მომჩივანის მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებები ჩაითვალოს დამტკიცებულად. ასევე, ვალდებულება და ვადები, სახალხო დამცველის რეკომენდაციაზე რეაგირებისათვის, რომელიც დღეს მოქმედი რეგულაციებით მხოლოდ საჯარო დაწესებულებებზე ვრცელდება (საჯარო დაწესებულებები ვალდებული არიან, სახალხო დამცველის რეკომენდაციას მიღებიდან 20 დღის ვადაში შეატყობინონ, რა რეაგირება მოახდინეს რეკომენდაციაზე), გავრცელდეს კერძო დაწესებულებებზეც.

გ) Amicus Curiae-ს როლი საერთო სასამართლოებსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში **დისკრიმინაციის საკითხების განხილვისას** სასამართლოს მეგობრის ფუნქციას სახალხო დამცველის აპარატი წარმატებით იყენებს როგორც სისხლის სამართლის, ასევე – საკონსტიტუციო სასამართლოებთან მიმართებით. ვინაიდან, დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ დავებზე ჯერჯერობით არ არსებობს მდიდარი სასამართლო პრაქტიკა საქართველოში, სახალხო დამცველის აზრით, „მნიშვნელოვანია ამ ბერკეტის გამოყენების შესაძლებლობა მიეცეს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, რომელსაც გააჩნია სპეციალური ცოდნა და კომპეტენცია განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. ამ კატეგორიის საქმეების განხილვის დროს „სასამართლო მეგობრის“ ინსტიტუტის გამოყენებამ შესაძლებელია, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების უკეთესი შესაძლებლობა შექმნას. აღნიშნული დადებით გავლენას მოახდენს სასამართლო გადაწყვეტილებების ხარისხის ამაღლებაზე, რადგან სასამართლო უფრო მეტ წყაროს დაეყრდნობა. ამასთანავე, იგი ხელს შეუწყობს საზოგადოების ჩართულობას, რაც კიდევ უფრო მეტად გაზრდის სასამართლოს გადაწყვეტილების მიმართ ნდობის ხარისხს“.

რაც შეეხება დისკრიმინაციის სოგის საფუძველზე, სექსუალური ორიენტაციის/გენდერული იდენტობის ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის თაობა-

ზე დღემდე სახალხო დამცველთან განსახილველად შესულია 6 განცხადება, რომელთაგან სამი მოკვლევის პროცესშია, სამი მათგანი კი უკვე შეისწავლეს და განცხადებაში მოყვანილი ფაქტები არ დადასტურდა.¹⁰

სასამართლოს ამ დრომდე არ მიუღია გადაწყვეტილება სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით პირის დისკრიმინაციასთან დაკავშირებით.

სხვა მკვლევარების საშუალებით გამოცდილება ანტიდისკრიმინაციულ კანონთან და მემანიფესტთან დაკავშირებით

ევროპის საბჭოს 20-მდე ქვეყანაში დღეისათვის მოქმედებს კომპლექსური ანტიდისკრიმინაციული კანონი, რომელშიც დისკრიმინაციის აკრძალვის საფუძვლებს შორის ექსპლიციტურადაა მითითებული სექსუალური ორიენტაცია (მათ შორისაა საქართველო). კიდევ უფრო მრავალრიცხოვანია იმ ქვეყნების რაოდენობა, რომელთაც მიღებული აქვთ დისკრიმინაციის ამკრძალავი კანონი, რომელიც არეგულირებს დისკრიმინაციას კონკრეტულ სფეროში (მაგ. დასაქმების ან მომსახურების სფეროში) და დისკრიმინაციის აკრძალვათა საფუძველში პირდაპირ ფიგურირებს სექსუალური ორიენტაცია. სხვა ქვეყნებში, სექსუალურ ორიენტაციას/გენდერულ იდენტობას ფარავს კანონში არსებული მითითება „და სხვა“ ჩამონათვალის სახით. 10-მდე ქვეყანაში დღემდე არ მოქმედებს არც სექტორალური და არც ყოვლისმომცველი ანტიდისკრიმინაციული კანონი, რომელიც დაარეგულირებდა დისკრიმინაციას სექსუალური ორიენტაციის/გენდერული იდენტობის საფუძველზე.

ევროპის საბჭოს ქვეყნებში არსებული პრაქტიკა განსხვავებულია თანასწორობის უზრუნველყოფის ეროვნული მექანიზმების თვალსაზრისითაც, რომლებსაც აქვთ უფლებამოსილება დაფარონ დისკრიმინაციის საკითხები სოგი-ს საფუძველზე. სპექტრი საკმაოდ ფართოა: თანასწორობის უზრუნველყოფის სპეციალიზებული ინსტიტუციებიდან და კვაზისასამართლო სტრუქტურებიდან დაწყებული ომბუდსმენის ინსტიტუტით დამთავრებული. შესაბამისად, განსხვავებულია ამ ინსტიტუციების უფლებამოსილება და სანქციებიც.¹¹ უფლებამოსილების, სანქციების, სოგი-სთან დაკავშირებული საკითხების სრული დაფარვის თვალსაზრისით, ერთ-ერთი ყველაზე ოპტიმა-

10 <http://www.ombudsman.ge/uploads/other/2/2553.pdf>

11 Developing anti-discrimination law in Europe. EU, 2010. pp. 69-71. <http://www.non-discrimination.net/content/media/Comparative%20EN.pdf>

ლური მაგალითია შვედეთის გამოცდილება, სადაც დისკრიმინაციის შესახებ ახალი კანონი 2009 წელს შევიდა ძალაში. კანონში ჩაიწერა, რომ დისკრიმინაცია იკრძალება, მათ შორის გენდერული იდენტობისა და გამოხატვის გამო. ეს ტერმინი მოიცავს იმ ადამიანსაც, რომელიც თავს არც ქალად, არც მამაკაცად არ თვლის. ეს ტერმინი ასევე მოიცავს ადამიანს, რომელიც თავისი ჩაცმულობით ან სხვა გზით თავს ბიოლოგიურისაგან განსხვავებულ სქესს მიაკუთვნებს. ტერმინი „გენდერული გამოხატვა“ შეიძლება გამოიყენონ ტრანსვესტიტებმაც, მათი დისკრიმინაციისაგან დასაცავად.¹²

ამ კანონის საფუძველზე შვედეთში შეიქმნა თანასწორობის ომბუდსმენი, რომელმაც ჩაანაცვლა მანამდე არსებული ოთხი თემატური ომბუდსმენის ინსტიტუტი. თანასწორობის ომბუდსმენთან მოქმედებს დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის საბჭო. ამ უკანასკნელს გააჩნია უფლებამოსილება, დააკისროს ჯარიმა იმ დამსაქმებელს და საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციას, რომელიც არ შეასრულებს ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობით დაკისრებულ ვალდებულებას. ჯარიმის გამოყენების შესაძლებლობა აქვს თანასწორობის ომბუდსმენს, თუკი დამსაქმებელი, საგანმანათლებლო დაწესებულება და ბიზნესი უარს იტყვის, ინფორმაციის წარდგენაზე განსახილველ საჩივართან დაკავშირებით ან არ დაუშვებს ომბუდსმენს საკუთარ ოფისში შემომწმების ჩატარებისას. ჯარიმის პარალელურად, შვედეთში დისკრიმინაციის მსხვერპლს შეუძლია, მოითხოვოს კომპენსაცია დისკრიმინაციული ქმედების ჩამდენი პირისაგან. კომპენსაციის ოდენობა უნდა იყოს იმგვარი, რომ არა მხოლოდ აანაზღაუროს მსხვერპლისათვის მიყენებული ზიანი, არამედ შემაკავებელი ხასიათის იყოს დისკრიმინაციის განმარტვილებელი პირისათვის, რათა მომავალში აღარ გაიმეოროს დისკრიმინაციული ქმედება.

12 Ministry of Integration and Gender Equality New anti-discrimination Legislation and a new agency, the Equality Ombudsman.

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის იდენტიფიცირება, გამომძიება და აღრიცხვა

სიძულვილით მოტივირებული დანაშაული საპართევლოზო

2012 წლის 27 მარტს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლს დაემატა 31 ნაწილი, რომლის მიხედვითაც: „დანაშაულის ჩადენა ... სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის ... შეუწყნარებლობის მოტივით არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის.“

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლის თანახმად, იკრძალება ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა ადამიანის სექსუალური ორიენტაციისა ან გენდერული იდენტობის ... ნიშნით, რამაც არსებითად ხელყო ადამიანის უფლება. სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა აღნიშნულ მუხლს დაემატა 2014 წლის 2 მაისს შეტანილი ცვლილების შედეგად.

საქართველოში არ არსებობს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ოფიციალური სტატისტიკა. სტატისტიკა ასეთი დანაშაულების შესახებ რეალურად არ ასახავს ლგბტ ადამიანთა მიმართ განხორციელებულ ძალადობის სურათს. სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის აღრიცხვის დაბალი მაჩვენებლის ერთ-ერთი მიზეზი პოლიციის მიმართ უნდობლობა და ქამინგ აუთის შიშია. WISG-ის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, მხოლოდ გამოკითხულთა 30%-მა მიმართა პოლიციას ფიზიკური ძალადობის შემთხვევასთან დაკავშირებით. შესაბამისად, საკანონმდებლო ცვლილებების პარალელურად, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ სათანადო ზომები, რათა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით ჩადენილი სიძულვილის დანაშაულებისა და სხვა სიძულვილით მოტივირებული შემთხვევების მსხვერპლებმა და თვითმხილველებმა განაცხადონ მათ შესახებ; აღნიშნული მიზნით, სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა შესაძლო ზომა, რათა სამართალდამცავ სტრუქტურებს, მათ შორის სასამართლო სისტემას, გააჩნდეს ასეთი დანაშაულებისა და ინციდენტების იდენტიფიცირებისა და მსხვერპლთა და მონმეთა დანმარებისთვის და მხარდაჭერისთვის აუცილებელი ცოდნა და უნარები.¹³

13 ა. ნაცვლიშვილი, ე.ალდგომელაშვილი. CM/Rec(2010)5 რეკომენდაციის იმპლემენტაციის მონიტორინგი საქართველოში. WISG. 2012. თბილისი.

„ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფმა“ ლგბტ თემის 150 წარმომადგენელთან ჩაატარა კვლევა. გამოკითხულთა თითქმის მესამედმა (48 რესპონდენტი) დაადასტურა ის, რომ ცხოვრებაში ერთხელ მაინც დაექვემდებარა ფიზიკურ ძალადობას (ეს უკანასკნელი გამოიხატებოდა ცემაში, ხელის კვრაში, ნაქცევაში, წიხლის ამორტყემაში, იარაღის გამოყენებაში, სექსუალურ ზეწოლაში, სექსუალურ ძალადობაში). გამოკითხულთა 89,33% (134 რესპონდენტი) გამოკითხვის ჩატარებამდე ბოლო ორი წლის განმავლობაში ერთხელ მაინც გახდა ფსიქოლოგიური ხასიათის ძალადობის მსხვერპლი.¹⁴ იმ 48 რესპონდენტთაგან, ვინც ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი გამხდარა, 73%-ს არასდროს მიუმართავს პოლიციისათვის. მიზეზებს შორის ისინი ასახელებენ პოლიციის არაეფექტურობას (21,62%), შიშს, რომ პოლიციას ჰომოფობიური რეაქცია ექნება (29,73%), 21,62%-მა კი ინიციატივი არასაკმარისად სერიოზულად ჩათვალა იმისათვის, რომ პოლიციაში განეცხადებინა. მათ შორის, ვინც პოლიციას მიმართა, 46,15% უკმაყოფილოა ამ გადაწყვეტილებით, რადგან პოლიციის მხრიდან ჰომოფობიური რეაქცია შეხვდა, 30% ამბობს, რომ პოლიციის რეაქცია მეგობრული იყო, 23,08%-მა კი განაცხადა, რომ მათ ნეიტრალურად მოექცნენ.¹⁵

2013 წელს, არასამთავრობო ორგანიზაციის, „იდენტობას“, მიერ ჩატარებული კვლევა გვიჩვენებს, ბისექსუალ მამაკაცებსა და ტრანსგენდერებთან, აჩვენებს, რომ შეკითხვაზე „გამხდარხართ თუ არა ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი ბოლო ორი წლის მანძილზე“ 48 რესპონდენტმა 109-დან დადებითად უპასუხა. მათგან, 36-მა ადამიანმა განაცხადა, რომ არასოდეს მიუმართავს პოლიციისათვის.¹⁶

2015 წელს, WISG-მა დაასრულა მუშაობა ლგბტ პირთა საჭიროებების კვლევაზე ჯანმრთელობის სფეროში.¹⁷ კითხვარი ასევე მოიცავდა ინფორმაციას ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის გამოცდილების შესახებ. კვლევამ აჩვენა, რომ მიუხედავად იმისა, რომ 2012 წელთან შედარებით იკლო რესპონდენტთა რაოდენობამ, ვინც ფიზიკური/ფსიქოლოგიური ძალადობის გამოცდილების შესახებ საუბრობენ (გამოკითხულთა 20%-ს აქვს ფიზიკური, ხოლო 68%-ს ფსიქოლოგიური ძალადობის გამოცდილება), იმატა იმ ადამიანთა რაოდენობამ, რომლებიც 3-ჯერ ან მეტჯერ გამხდარან ძალადობის მსხვერპლი. მათ შორის, ვინც ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი ყოფილა, მხოლოდ 30%-მა მიმართა პოლიციას (20%-მა უფლებდაცვით ორგანიზაციას), ფსიქოლოგიური ძალადობის

14 ლგბტ ადამიანთა მდგომარეობა საქართველოში, WISG. 2012. თბილისი.

15 იგივე

16 Social being of Gay, bisexual and transgender men; Identity; 2013

17 ეადგომელაშვილი. ლგბტ ჯგუფის საჭიროებები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში. WISG. თბილისი. 2015.

თაობაზე კი დაზარალებულთა მხოლოდ 4,4% მოიქცა ასე. ფიზიკური ძალადობის შემთხვევაში, რესპონდენტები პოლიციისთვის არმიმართვიანობის მთავარ მიზეზად პოლიციის არაეფექტურობას, უნდობლობას, ქამინჯ აუთის შიშსა და დროის არქონას ასახელებენ. ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევაში, დაზარალებულთა 72,1% თვლის, რომ ფსიქოლოგიური ძალადობის ცალკეული შემთხვევები არ წარმოადგენს „სერიოზულ“ მიზეზს იმისათვის, რომ მიმართოს პოლიციას ან უფლებდაცვით ორგანიზაციას.

2014 წლის 11 სექტემბერს WISG-მა #W 03/09/14 წერილით მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს და მოითხოვა ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რამდენ საქმეში იქნა გამოყენებული სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის 3¹ ნაწილი და 142-ე მუხლი 2012 წლის 19 აპრილიდან 2014 წლის 16 სექტემბრამდე. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის 2014 წლის 13 ნოემბრის #2293989 წერილიდან ირკვევა, რომ ზემოხსენებულ პერიოდში სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლით სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ ინფორმაცია არ ფიქსირდება. შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკურმა დეპარტამენტმა ასევე მიუთითა, რომ ინფორმაციას არ ფლობდა სასამართლოში სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის 3¹ ნაწილის გამოყენების თაობაზე.

2014 წლის 11 სექტემბერს WISG-მა #W02/09/14 წერილით მიმართა მთავარ პროკურატურას და მოითხოვა ინფორმაცია 2012 წლის 19 აპრილიდან 2014 წლის 16 სექტემბრამდე სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლით წინასწარი გამოძიების/სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ. მთავარმა პროკურატურამ WISG-ს 2014 წლის 24 სექტემბრის #13/59480 წერილით უპასუხა, რომ მითითებული პერიოდის განმავლობაში სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლით წინასწარი გამოძიების/სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების არც ერთი შემთხვევა არ იქნა დაფიქსირებული. რაც შეეხება სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის 3¹ ნაწილის გამოყენებას, პროკურატურამ #13/59480 წერილში მიუთითა, რომ აღნიშნულ საკითხზე პროკურატურა სტატისტიკურ ინფორმაციას არ აწარმოებს.

სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის 3¹ ნაწილით პირისათვის დანაშაულის დაძიების შესახებ ფაქტი არც სასამართლოს დაუფიქსირებია. ამგვარად, სიძულვილის დანაშაულის ამკრძალავი სისხლის სამართლებრივი ნორმები პრაქტიკაში არ მუშაობს, ეს მაშინ, როცა რეალურად არც თუ ისე იშვიათია სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაული. მაგალითად, 2012 და 2013 წლების 17 მაისს ჰომოფობიისა და ტრანსფობიის საერთაშორისო დღის აღსანიშნავი აქციის მონაწილეებზე ფიზიკური თავდასხმა, რაც მკვეთრად გამოხატული ჰო-

მოფობიური ხასიათის იყო. 2014 წელს სავარაუდოდ ტრანსფობიური მოტივით მოკლეს და საკუთარ სახლში დაწვეს ტრანსგენდერი ს.ბ. იმავე ქმედების სავარაუდო ჩამდენი პირი იმავე დღეს სავარაუდოდ დაესხა მეორე ტრანსგენდერ ბ.შ-ს. არც მკვლელობა და არც ცემა არ არის დაკვალიფიცირებული მსხვერპლების გენდერული იდენტობის გამო სიძულვილის მოტივით.

